ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 1 აპრილის სხდომის

ოქმი #3

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის 1 აპრილს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 25.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის ელექტრონული სწავლების კონცეფციის შესახებ
2. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი - ფაკულტეტის ელექტრონული სწავლების კონცეფციის შესახებ. კონცეფცია წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს. სხდომის თავმჯდომარემ შესთავაზა საბჭოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები. მსჯელობა გაიმართა ძირითადად მეოთხე პუნქტის - შეფასების ქულების განაწილების შესახებ. კონცეფციაში შეთავაზებული იყო შეფასების სისტემის მოდელი, იმ შემთხვევაში თუ სემესტრის ძირითადი ნაწილი ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში, რომელიც მოიცავდა სემესტრის განმავლობაში 30 ქულიან (ლაბორატორიული და/ან პრაქტიკული და/ან სემინარული მეცადინეობების შედეგების მიხედვით) და საბოლოო გამოცდის 70 ქულიან შეფასებას. ამასთან 70 ქულა პირობითად მიიღებოდა სილაბუსით გათვალისწინებული საშუალედო და საბოლოო ქულების, ასევე დასწრება-აქტიურობის ქულის აჯამვით.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა მ.ხაჩიძემ, ა.გამყრელიძემ, ლ.ალხაზიშვილმა, ა.უგულავამ, ნ.შათაშვილმა, დ.ძიძიგურმა, ნ.დორეულმა, ო.ფურთუხიამ, ზ.თუთმერიძემ, გ.სირბილაძემ, თ.დავითაშვილმა და სხვებმა. კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის პროფესორებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ქულების 30-70 მოდელით განაწილება, რადგან მათი საგნების სილაბუსების მიხედვით ეს მოუხერხებელი იქნებოდა. პროფესორების დანარჩენი ნაწილისთვის ასეთი განაწილება მეტნაკლებად მისაღები იყო მიმდინარე პერიოდის თავისებურებების გათვალისწინებით.

ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ შეთანხმდნენ ყველაზე მოსახერხებელ მოდელზე, სადაც საბოლოო შეფასების 100 ქულა მოიცავს: ა) საბოლოო გამოცდის ქულას, რომელიც შედგება სილაბუსით გათვალისწინებული საშუალედო და საბოლოო გამოცდების ქულების ჯამისგან პლუს დასწრების ქულა (თუ ასეთი გათვალისწინებულია სილაბუსით); ბ) დარჩენილ ქულებს, რომელიც დაიწერება სემესტრის განმავლობაში სილაბუსით გათვალისწინებულ სხვა აქტივობებში.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს მინიმალურ ზღვარზე, რაც საკმარისი იქნება საბოლოო გამოცდაზე დასაშვებად. ზღვარი განისაზღვრა 7 ქულით, ხოლო განმეორებით გამოცდაზე დასაშვებად მინიმალური ზღვარი განისაზღვრა 11 ქულით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ფაკულტეტის ელექტრონული სწავლების კონცეფციის დამტკიცებას მეოთხე პუნქტში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 25, წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის ელექტრონული სწავლების კონცეფცია (იხ. დანართი 1):

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი